

პოეზია

მეყდარეთა ფეხები

გ. ჯვებენავა

2009 – თბილისი

UDC (უაკ) 821.353.1-1  
ჯ-39

გამომცემლობა „პეტიტი“

© გ. ჯვებენავა. 2009  
საავტორო უფლებები დაცულია

ISBN 978-9941-0-1713-1



## ერთადერთო

ნუ გავწირავთ, ქართველებო,  
ერთმანეთს!

ნუ გავთელავთ  
ჩვენი ფეხით საქართველოს -  
ერთადერთს!

ნუ ვაჩვენებთ ჩვენს მტერს  
ჩვენი ერის ცხელ ცრემლს.  
ნუ წავბილწავთ ჩვენს დებს,  
თორემ ამით დავიბნელებთ  
ველებსა და ჩვენს გზებს.

ნუ გავთელავთ გველებს,  
ნურც გავბედავთ

გავუტოლდეთ -  
ღმერთს-ერთს!

გვეედრებით, ვით ქართველი -  
მეც-ერთს,

თუ მოვკვდებით,

თუ მოვკვდებით -

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ო !

საქართველოს სიყვარულზე  
შეფიცულნი

ჩვენი ერის ერთგულებით  
შევეწიროთ

ჩვენი ქვეყნის მკერდს-  
- ე რ თ ს .

## დუმილი

ჭექს-ჭექა  
და  
ქუხს-ქუხილი,  
დუმს სარკოფაგებში  
მუმიასავით ქცეული  
დუმილი  
და ნუხს-ნუხს  
ნუხილით  
უსამართლობის ნუმპეში  
სამართლიანი ნუთები,  
ქცეული და  
მაინც არნაქცეული  
ნათელი ერთეული.

## თავად ერთია

ცა-ცისფერია  
ცა-ცისფერია,  
და ფრთების ფერფლიც  
ისტორიის ფერია.  
ძმა-ძმის ხელია,  
ძმა-ძმის ხელია,  
გასავლელი გზა,  
განვლილი, გზითვე გრძელია.  
ველის პატრონი  
მდუმარე გველია.

ცა-ცისფერია,  
ცა-ცისფერია,  
ძლიერი ბერი  
ძლიერი ერია,  
ყველაზე ძლიერი  
თავად ერთია,  
თავად ერთია,  
და ის ღმერთია.

### მიტოვებული კერა

დროისაგან ფერნაცვალ ჯარგვალში  
სალამოობით ბედს მკრეხელობენ  
სოფლის ჭინკები.  
ობობები კი ილანდებიან  
და სიბნელეში იკარგებიან.  
დუმან ჭრაქები,  
აღარ უდუღთ მუცელში  
აქოთებული სისხლი,  
ვეღარ ოხრავს უწინდელივით  
შავ სალამოზე საკვამურა.  
ჭურებს მოუხდიათ  
თავებზე ქუდები,  
აუორთქლავთ პირიდან  
მთვრალი სულები.  
ჭიებსა და მატლებს  
არენდით შეუსყიდიათ  
ეზოს ბოლოში ნაქცეული,

ოდესღაც მოჭრიალე, ურემი.  
თითქოს გაგიჟებულა,  
სულ გაშიშვლებულა  
სარზე გამოტილი საფრთხოებელა,  
პატრონის ლოდინში დაბერებულან  
მუხის ხეებზე  
სხარტი ლერწმები.  
ჭიშკართან მიმავალ ბილიკებს  
დაუკარგავთ სიცოცხლის აზრი  
და დაუხრიათ თავი  
ეკალ-ბარდისთვის.  
დროისგან ფერნაცვალ ჯარგვალს  
გამოლევია წლები  
და დაუკარგავს ბედი.

## წარსულს, საბედნიეროდ-წასულს

აღარ ჩანს არსად  
წითელი ზღარბები,  
წითელი ფრთებიტა და  
წითელი ბაფთებით,  
წითელი ზღაპრის  
წითელი ამბებით,  
აღარ იკრძალება  
ფერადი ფარდები,  
აღარ არის ქალაქში  
ჩაკეტილი დარაბები

და ფანჯრები.  
საბედნიეროდ,  
კვლავ აღიმართენ  
ცამდე ტაძრები,  
რომლებშიც დაუნთიათ - ოდესღაც  
პარტ-მუშაკებს ხანძრები.  
აღარც ციმბირელი  
ჯალათები დაძრწიან  
ფარებითა და ფანრებით,  
აღარც ფოლადის ლოზუნგები  
აგიჟებს ჩვენს ლამაზ გამზირებს  
და ველარც საიუბილეოდ ნასროლი  
წითელი ზარბაზნის  
სისხლისფრად შეღებილი  
ზალპები ამძიმებს  
ცის-გზაზე მდგარ  
...მარადიულ  
სიმშვიდეს!

## ფიცი

მაპატიეთ, მაგრამ  
ვერ გავწირავ  
ქართულ ანბანს  
და ჩვენს და-ძმას,  
ვერც ილიას კალამს  
ვერ შევბედავ, გავუტოლდე,  
ამას ვამბობ ალაღს,



ვერ ვანახებ  
ქართველის დედას,  
ჩემგან ქცეულს,  
უზრდელსა და მხეცსა,  
მაჰატიეთ!  
მაჰატიეთ!  
მაგრამ უზნეობას  
ვერ ვაკადრებ  
ჩვენს ზეცას  
და ღმერთსა.

### თოვდა

ნუხელის თოვდა,  
ნუხელის ქსოვდა,  
ცაზე თეთრად  
ფანტელები ქროდა.  
ნუხელის თოვდა,  
ლამე თეთრად თრთოდა,  
საკვამურიდან მონინებით  
ცოცავდა სევდა.  
ნუხელის თოვდა  
და მდინარეების  
იღებებოდნენ თეთრად  
საზღვრები.  
ნუხელის თოვდა,  
ნუხელის მთხოვდა

გაჭირვებული  
თეთრ ლამეს  
თეთრი ჯიბიდან  
თეთრს.

## აფხაზეთი

ქმ.საქართველოს მთლიანობისათვის  
მებრძოლ, ომში დაღუპულ  
გმირთა უკვდავ ხსოვნას.

სოხუმი!  
გაგრა!  
გალი!  
ოჩამჩირე! -  
ერთი დიდი დღე  
მოგონებებით სავსე,  
თეთრი ქვიშებით,  
სისხლის ლაქებით  
მიტოვებული-  
ძველი სახლებით  
და გადამწვარი  
ცამდე პალმებით.  
ქართული მიწის  
გულის სიღრმეში  
ცრემლით ნაგროვი  
უკვდავი სიყვარული.  
საქართველოსთვის  
და ქართველთათვის,

ენგურს გადაღმა  
დაუვინყარი-  
ედემის ბალი-  
სოხუმი!  
გაგრა!  
გალი!  
ოჩამჩირე! -  
ერთი დიდი მზე  
იმედით სავსე.



არსებობს ლექსი,  
სადაც გონებას  
ენა სჭარბობს  
და არის ლექსი,  
სადაც ენაზე მეტს  
გონება ამბობს.

### ვიპოვე

მე რა ვიპოვე  
ამ ქვეყანაზე,  
სიცოცხლის ფასი?  
ჩემსავე სულში  
იმაზე დიდი აზრი,

ვით თავად  
უფალი ღმრთისადმი -  
უდიდესი მონამსი!  
ან კიდევ  
იმაზე დიდი განძი,  
ვით სიყვარულის არსი!  
მე რა ვიპოვე  
ამ ქვეყანაზე,  
ამ ქვეყანაზე,  
სიცოცხლის  
ფასი?!



...მწერალს რად უნდა მდივანი?!  
მწერალს არ უნდა დივანი!  
მწერალს ზღვა უნდა,  
მთა უნდა,  
მწერალს ცა უნდა  
ც ი ა ნ ი.

## შავია შავი მუშამბა

დილა მშვიდობისა,  
ნიკალა-პაპავ,  
დილა მშვიდობისა,  
გილიმის და გესალმება  
შენი ლამაზი თბილისი,  
სხვისი კი არა, შენით,  
შენი ხელიდან შექმნილი  
ლამაზი ფერიდან.

გადღეგრძელებენ ყარაჩოღელნი  
მტკვარზე ტივიდან,  
და მიირთმევენ  
შავ პურს დილიდან.

დილა მშვიდობისა,  
ნიკალა პაპავ,  
გადმოგრევია ამ უთენია  
თვალებიდან უძილო თალები,  
მოგრევია, ეტყობა,  
ეს მთვრალი სასმელი,  
აღსავსე ყოველდღიური ზღაპრებით.

დაეხეტები ქუჩა-ქუჩა  
უჩა-უჩა ტილოებით,  
საღებავებით, აბრებით,  
თბილისური ამბებით.

ოცნების კარებთან განმარტოებულს  
დაგიხატავს შენთვის  
შენივე ლამაზი ქალი.

ალი მოსდებია  
შენს მაღალ ჟირაფს,  
დაუფასებელნი კი მასში იხდიან  
ჯერ და მაინც იაფს.

ხალხი გკითხულობს,  
ნიკალა პაპავ,  
ასეთი ვინ ხარ...  
ვინ ხარ?!

ხარები შეგიბამს ულელში  
და დაგიხატავს  
ულრანი ცხოვრების  
ულრან ქუჩებში.

აი, ნიკალა არის  
ქართველი მხატვარი!  
ნიკალა პაპავ,  
იძახის ვენახში მდგარი  
ფეხშიშველა და პატარა ბავშვი,  
თან თითოს იშვერს შენსკენ,  
ასი-ნლის შემდეგ,  
ასი-ნლის შემდეგ,  
იძახის შენზე  
და იტყვიან კიდევ მრავალს

ათასის შემდეგ  
გაოცებულნი,  
შენს შექმნილ  
ფერზე!



მ-მარტია,  
გულებს - სიყვარული,  
ქალებს - სიხარული  
არ აკლიათ  
და შავ ვარდებს  
ტანს ეკლები  
არ ატყვიათ.

### სარეველას ბედი

ო...როგორ ამოგსვლივარ ყელში,  
სარეველასავით შემოგხვევივარ  
მაგ შენს უმადურ ყბებში,  
როგორ გამიხარია  
ამ უძირო კლდეში,  
სადაც ფარისეველნი გამუდმებით  
ერთმანეთთან მყოფნი ხვნივით.  
კლდეში, რომელშიც

ყოველდღე ვკვდები და  
კლდეში, რომელშიც  
ყოველდღე ახლიდან  
ვჩნდები...



...ოქტომბერო,  
ოქტომბერო  
ოცნებებით ძველო,  
შემოდგომის ბრძენო,  
მუზის ფერში დაკარგულო  
სიყვარულის მზეო

## მეძავი

ლამით ტაძართან  
იდგა მეძავი,  
შავი წარსულით  
თავგაპარსული,  
პირს პირსახოცით  
ინმენდდა, ცოდვილს,  
ცოდვებს ითვლიდა  
უფლისკენ ლოცვით,  
ცას უყურებდა,  
ცაზე ვარსკვლავებს, შფოთვით,  
თავს იმშვიდებდა



ოხვრითა და მოთქმით,  
მუხლებს იგლეჯდა  
მინაზე ხოხვით.  
ლამით ტაძართან  
იდგა მეძავი,  
ძვალითა და ტყავით,  
გარსს ჭამდა ავი  
და მაინც იდგა  
ტაძართან ქალი  
და ედო ბრალი,  
ცოდვისგან მკრთალი  
უფლის წინ იდგა  
მეძავი ქალი.

### **ფინჯანი ყავა**

ერთი ფინჯანი ყავა  
და ღამის კოშმარიც ნავა,  
როგორც სიზმარი უცხო  
უცხო კუნძულზე გავა.  
ერთი ფინჯანი ყავა,  
როგორც ფიქრების ღავა,  
სადღაც უაზრო დავა  
და ღამის ცივი ჰავა.  
ერთი ფინჯანი ყავა  
და თითქოს ქუჩაში  
არვინ აღარსად  
არ ჩანს.

ერთი ფინჯანი ყავა,  
ბოლო ყლუპი და  
აჰა

ერთი ორთქლილა დარჩა  
და ჭიქაშილა ჩარჩა  
ჩემი ცხოვრების  
ლაქა.



...ალვის ხეებო,  
თეთრო ხელებო,  
ო, რამხელებო,  
ცაზე მტევნებო,  
ღრუბლის ფერებო,  
წვიმის წვეთებო,  
წვიმის ცრემლებო,  
ო, რამხელებო...!

### **ყვავის-ყვავი**

ისევ ტოტზე ზის ყვავი,  
ფეხ-ნალრძობი და მყრალი,  
ისევ თოკზეა მკვდარი,  
ჩამოკიდული ღამის,  
ეს უბედური აზრი.  
ისევ ცა არის ბაცი

და მოგონება მკაცრი,  
გულის სიღრმეში მკანრის  
ეს უსულდგმულო ნავი,  
აღარც ნვიმა  
ჩანს ზამთრის,  
აღარც მზის  
სხივს აქვს  
დარდი,  
ისევ ტოტზე ზის ყვავი  
და გამხმარი აქვს  
ტანი.



მე ლექსს  
არა ვწერ,  
მე სევდას ვხატავ,  
ზოგჯერ კი,  
მონინებით  
ღიმილს ნიღაბში  
ვმაღავ.

## ჩუმად-1921წ.

ედ. ბაბუის ვ.ფარულავას ხსოვნას

მესაფლავენი ჩუმად  
გათხრიან მთებს,  
ჩუმად განმენდენ კლდეს,  
ქვებისგან მთელს,  
ჭირისუფალნი სევდისგან  
კვლავაც დაღვრიან ცრემლს,  
ჩუმს და მაინც ცხელს,  
დათრგუნავენ ღრუბლის ფარდები  
მზის ჩუმ თვალებში  
აალებულ გზებს,  
ჩაასვენებენ დღეს:  
მინის საფლავში-ჩუმად,  
მინისვე ძვლებს უხვად.



ხომ შეიძლება  
რომ ვერ გაჩუქო  
მე ის დღე ერთი  
ის, ყვავილების  
გვირგვინი მთელი  
და ის - ძვირფასი  
კონვერტი თეთრი.

## გადარჩენისთვის

სიცოცხლე ებრძვის სიკვდილს  
და ცურავს დროის მორევში,  
მორევში, უსიცოცხლობის,  
და ეჭიდება იმედით სავსე  
ბედ-იღბლის ფესვებს,  
ვედრებაში ათენებს დღეებს,  
ღვთის კალთაში  
ლოცულობს ჩუმად,  
ლოცულობს რწმენით,  
და იბრძვის ერთი  
ბოლო ნუთამდე,  
ბოლო ნუთამდე,  
სიცოცხლისათვის  
თავდადებული  
ადამიანის  
ცოდვილი  
სული!

## მეფის გარდაცვალება

სიკვდილის წინ ცამ  
ფურცელი მეღნით გარეცხა,  
თითქოსდა, იმ დღეს  
ირგვლივ ყველაფერს

ზღვისფერი ჩაეცვა,  
მაინც, რა ერქვა?!  
-ლექსი? თუ სხვა...  
რომელმაც თავისი  
სახელი თქვა,  
-მის გზას?!  
-გზას რაღა ერქვა?!  
-მეფეთა მთა...  
ყველამ ერთხმად,  
ერთხმად თქვა:  
სიკვდილის წინ  
ამბობენ, ყოველთვის  
ყველასთვის წვიმს,  
სიკვდილის წინ  
ცამ კიდევ ერთხელ  
ფურცელი მელნით  
გარეცხა  
და თითქოს ირგვლივ,  
ირგვლივ ყველაფერს  
ზღვის ფერი  
ჩაეცვა,  
მუზის მზე კი  
1959- წლის 17- მარტს  
მინაზე მშვიდად  
დაეშვა.



ლექსმა უნდა შექმნას  
ლექსი,  
მცხობელმა კი გამოაცხოს  
კექსი.

### უსურათო პასპორტი

ეჰეი-თქვენ, კაცებო,  
ან რაღა კაცებო  
არაკაცებო,  
დაგვინყებიათ გვარი-სახელი.  
არაფრად ჩაგიგდიათ  
ანდერძად მამის ნათქვამი,  
რომ ხართ ქართველი.  
უარი გითქვამთ ქართულ ღვინოზე,  
თმები მოგიშვიათ აღქაჯივით,  
შემოგიხვევიათ სახეზე  
ნლებით ნანვალი ნანწავი,  
არ იკადრებდა თქვენს საქციელს ბაჯი  
და არც ინდოელი რაჯი.  
წაგიკრავთ თავებზე გეტრები,  
ბენდენა და ათასგვარი ზენრები,  
გგონიათ, რომ ხართ-ვაჟკაცი გედები.  
ნუთუ ვერ ხვდებით, რომ  
ქართულ ადათ-წესებს

საქართველოში ყოველ ნაბიჯზე  
მტვრად ხვდებით.  
აგიჩეხიათ სახეზე ნვერ-ულვაში,  
მოგიშენებიათ მის ადგილას ბლანჟე  
და მიირთმევთ ალაფურშეტებზე  
ბლომანჟეს ტკობით.  
ოქრო-ვერცხლისაგან დაგიმძიმებიათ მაჯები.  
დაგიკიდიათ კისერზე ათასგვარი  
პლასმასის ჯაჭვები,  
ჯაჭვებზე ბრიტვები, ფერადი მინები,  
დათვისა და მგლის  
პრემოლარები და მოლარები.  
გაგიყიდიათ ყურები საყურეებზე.  
აგირჩევიათ პასპოტის მაგიერ უპასპორტობა.  
ტუშით და ტაშით მოგიხატიათ  
ტატუთი გახარებულებს ტანი,  
ვერც კი მიმხვდარხართ,  
რომ მოგიჭრიათ ამით  
ისედაც მოჭრილი თავი.  
ტანს ჩაგიცვამთ დაჭრილი ჯინსები,  
რომელსაც უხდება ლინზეები  
და თქვენ გგონიათ, რომ თქვენაირებზე  
დაინწერება უღირსი მითები?  
უღირსი იქნება-  
თქვენზე კარგის დამწერი თავად- თითები,  
სახეებს დამალავენ თქვენი შემხედვარე  
თ ა ვ ა დ - ი ე ბ ი  
და იტირებენ სირცხვილისაგან  
საქართველოს შვილებიც.



## თებერვლისთვე

ცივა...

თებერვლის-თვეს  
ყინულები ცვივა,  
მზის სხივები  
ინაზება ციდან  
და დღის ყინვა-  
იმალება გზიდან.

ცივა...

ატმის ტოტებს  
ფანტელები ტოვებს  
და მომავალს  
რტოებისთვის ტოვებს.

ცივა...

ზამთრის ბოლო ციდან  
მონმენდილა დილა.

ცივა...

მყინვარების თვალებიდან  
მოდის წვიმა  
და გზადაგზა  
იყინება მთიდან.

ცივა...

საბუხრეებს საყელოში  
გასდის ხვრინვა,  
ქუჩებში კი  
კვამლის კვალი  
დაძრწის, როგორც  
ფაეტონის თვალი.

ცივა...  
და ხის ძირას იმალება  
ენძელა და ია.  
ცივა...  
ზამთრის ბოლო დღეებს  
იმედები, იმედებად სცვივა.



აღარც გული  
აღარ მსუსხავს,  
აღარც სევდა  
აღარ მფურცლავს.



...უია-უია  
ზამთარია, სუსხია,  
კარავს მიღმა  
ბეჭებს ითბობს- გულია,  
კარებს გარეთ  
იყინება -შურია.

## ცოდვის კედლები

აქ ცხელაო, თქვა ყველამ,  
უმზეო-მზემაც დაიწყო კვნესა  
და თავად ცეცხლმაც,  
ცეცხლმაც ითხოვა შველა.  
აქ სევდამ მოიგო  
სამუდამოდ ხვნიშა.  
აქ მგლებმა დაიწყეს  
თავისივე ტყავის გლეჯა.  
აქ გემმაც დაკარგა გეზი  
და გენმა იგემა  
სიმწრისა ზღვები.  
აქ ცხელაო, - თქვა ყველამ  
და თავად ცრემლმაც  
იტირა ნელა,  
მელამ კი გათხარა  
უსიყვარულოდ  
საფლავის კერა.  
აქ მზემაც,  
მზემაც თქვა  
საკუთარი კვნესა,  
მარადიულმა სიკვდილმა  
კი ითხოვა უმწეოდ  
შველა.



თეთრია თეთრი ლექსი.  
მერცხლის გულიც  
ხომ თეთრია,  
ჩვენი ზეცაც  
და ანგელოზის-ფრთებიც  
ეს ჩვენი სიცოცხლეს ხომ  
ლექსივით-თეთრია

### ცხოვრების გზაზე

მიაბოტებენ  
შავ ღამის გულში  
შავად ხარები,  
შავ სამოსელში,  
შავ ტალახებში  
და ენევიან  
სიცოცხლის უღელს  
თავ-ბედ დახრილნი.  
თითქოს ნაღვლიანად,  
თითქოს სევდიანად  
ღამის თეთრ ნისლში  
კვალდაკვალ მისდევს  
მთვარის ლანდებში, ბაცში,  
ურემი ბეცი

და ტრიალებენ თვლები,  
როგორც ცხოვრების ბედი  
და ჭრიალებენ, როგორც  
ნისქვილის ქვები.

## იდუმალება

იდუმალი დრო  
მიდის, მიედინება,  
ამოუნურავად მიიკლაკნება.  
ადამიანი ცოცხლობს,  
ადამიანი კვდება,  
ხოლო უკვდავება  
უპოვნელი რჩება.

## სახელის გულისთვის

ფესტივალები, ვესტიბიულები,  
ბევრი ფულები,  
სახელისათვის თავდადებული  
„ყველასი დედაც,  
მაგათი ენაც“  
მათ დასანახად...  
ანთია ლამპიონები,  
მათი სიტყვებისათვის  
მზად ყოფნაშია მიკროფონები,  
ჟურნალისტები დიქტოფონებით,

შამპანიურის ბათქი-ბუთქები,  
რამხელა მედლები,  
აღარ ჩანს სინდისი,  
ყელზე ნუ ჰკიდებთ  
დაეკარგებათ ნამუსი,  
უსწავლელობით  
რახიტად ქცეულნი,  
მამიკოს ფულებით  
გმირებად რჩეულნი.



იქნება კიდევ  
აინთოს მზე და  
იქნება კიდევ  
დაინვას სევდა,  
იქნებ და ნლებიც  
ნაიქცეს მერე  
და მერე ღელეც  
გავიდეს მელე<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> მელე (მეგ.) – გაღმა

## ქარად გაჰყვება

ედ. ჩემი ბიძაშვილის გიორგი ჯვებენავას ხსოვნას

სევდიანია სოფლის შარა-გზა,  
მით სევდიანი მისი ბალადა,  
დასერილ მთებზე სხივები თაკარა  
და ჩანჩქერების წვეთები კამკამა.  
სევდიანია ის გულის კალთა,  
მოგონებების, რომ ტირის მთასთან,  
და ცისარტყელაც,  
იმედით სავსე, წამიერია.  
მოჩვენებებიც სახიერია.  
სევდიანია ის ბულბულები-  
სიყვარულით სავსე ურდულები,  
მწვანეა ჯეჯილი, მწვანედვე გახმება,  
სულის სიღრმეში  
მოგონებები ობლად ჩარჩება  
და მტვერის სახით  
ქარებს იმ ქვეყნად  
ქარად გაჰყვება.  
სევდიანია ის წერილები,  
ის წერტილებით დანწერილები

და ის ნიღბები,  
და ის ნიღბები,  
სავსე ზიზღებით,  
სევდიანია...  
სევდიანია...  
დარი-ავდარი გზაზედ გამდგარი,  
ეს, წუთისოფლის გაუმაძღარი  
სევდიანია სევდის საგზალი.



შენ ხომ დიდი ხარ,  
ვით ზეცის კალთა,  
ვით ცისარტყელა  
ზღვის-საყელოში,  
შენ ვარსკვლავი ხარ  
ლამის წყვდიადში-  
ლამის წყვდიადში-  
აღსავსე რწმენით.



## თეთრი მწვერვალი

ეძღვნება ულამაზეს სვანეთს

მთებს გაქუსლავენ ღრუბლები,  
მზეს გაქურდავენ  
ნისლის დუჟები,  
მუნჯი მუზები..  
აღს დაუკრიფავს  
ყვავილის გუნდებს  
მეზღაპრე გუდა.  
თავს დაითრობენ  
თაფლით ფუტკრები,  
სანახაობით ავად-  
ქცეული ურჩები.  
ტანს იგიჟებენ  
ცხოვრების გუთნები  
და გორაობენ აკვანში  
სიცოცხლის ბურთები.  
მთებს გაქუსლავენ ღრუბლები,  
გზებს გაფურცლავენ ფუნჯები,  
წყაროს ქვებს  
გაუცვეთენ ქედს  
ტუჩები სველს,  
ვინ დაითვლის მთელს-  
სიძლიერით სავსე  
ცაზე არნივების ფრთებს.  
თეთრი მწვერვალი კი  
ეტყვის მწერალს  
კეთილ სიტყვას ბევრს.

## ქარი

ქარი ქრის,  
ქარი ქრის,  
ლურჯი ზღვის,  
სუსტი ხმის  
სიოდ ქრის.  
ქარი ქრის  
ქალის ხმის,  
ნაზი დის,  
აღელვებული ზღვის,  
ქარი ქრის,  
ქარი ქრის  
და მუზებს სადღაც  
ცაში ყრის.  
ქარი ქრის  
ლამაზი ცის,  
ჩუმი ხმის,  
ქარი ქრის  
ქარი ქრის  
ქარი ქრის.



...მინდა, დილა  
რწმენით ინყებოდეს,  
ცაზე მზის-სხივები იშლებოდეს,  
მინდა, ეს ქვეყანა  
ყვავილებით ივსებოდეს,  
მინდა, ჩემი სული  
ლოცვაში იზრდებოდეს  
და სიცოცხლე,  
და სიცოცხლე  
მშვიდობაში ილეოდეს...

### დედამინა

დუმს ჩუმი დედამინა,  
თავისივე გულში ქუხს,  
ქუხს, იდუმალეებით მოცული  
და ბრუნავს,  
როგორც ბორბალი,  
სიცოცხლისაკენ მოძრავი,  
როგორც აჩრდილი  
ჩუმად მცოცავი,  
ქუხს გულის სიღრმეში  
და ბორგავს,  
როგორც კომმარში  
მყოფი ოხრავს

და ბრუნავს  
ზოგისთვის წაღმა,  
ზოგისთვის უკუღმა  
ბრუნავს,  
თითქოს მიძიმედ ცოდვილი  
გაუჩერებლად სუნთქავს  
და უბერებლად მოჩანს.  
დუმს, სიბოროტეში წუხს  
და სიყვარული სურს.  
ქუხს და ბრუნავს  
სიცოცხლისაკენ მოძრავი  
და ცოცხლობს,  
როგორც ცოცხალი.



რატომ ქუხხართ  
...გროშებო?  
რაზედ დუმხართ  
...დროშებო!

## შავია შავი ზღვა

ო, რა ცივია,  
ო, რა ცივია  
შავი ზღვის ტალღები  
დაუნდობელი ზამთრის სარჩევში,  
თუ როგორ იბრძვის  
მისი აზრების ნაკადი,  
მგრგვინავი, მშფოთვარე,  
აჩრდილად ქცეული ცისთვის,  
თითქოს ბოროტი კაცის აზრებით  
გაბრაზებული მისი ტალღები  
მოემართება ხმელეთისაკენ:  
ერთი, მეორე,  
მოჰყვება მესამე,  
შემდეგ თითქოსდა  
დამარცხებული  
გაიპარება ზღვაში  
და აორთქლდება ცაში.

## ნარკომანია

წითელი ვენები,  
თეთრი ხელები,  
დამპალი ენა,  
მურტალი თვალები.  
დიდი კოვზის ქვეშ  
ცეცხლის ალია,

კოვზზე დაყრილი  
ოხრად წამალი,  
ბაიანები მზად ყოფნაშია.  
აი, ადულდა  
ეს სანამლავი  
გამხრწნელი სულის,  
დამქცევი ქვეყნის  
და გამყიდველი ერის,  
დროზე შეუშვი  
ემმაკი სულში  
და დაიბნელე  
ცხოვრება კუპრში.  
შენ მან გაჯობა,  
ამ ცხოვრებაში  
მონა ხარ მისი,  
ცოდვილი მარად,  
წამლის გულისთვის  
გაყიდი ყველას:  
დედას და მამას  
ერსაც და მრწამსაც.

### **მოვალ, იმედად მოვალ**

მოვალ, უდაბნო, მოვალ!  
მზის სხივთა დაბუდრებულზე  
წყალსაც დაგისხამ მაგ უდაბურზე,  
ნავენახარი რომ არ გაგიხმეს

და ჭაში ფესვი რომ არ დაგიჭკნეს,  
და ტანი ქვიშის რომ არ გაგიქრეს,  
მოვალ, უდაბნო, მოვალ!  
შენივე გზებით,  
შენივე მთებით,  
შენივე მტვერით,  
შენივე აჩრდილთა ცქერით,  
შენივე ხვეწნით... მოვალ!  
მოვალ, სხვად მოვალ,  
ზღვად მოვალ,  
ნისლიან ცად მოვალ,  
ნამად და ცვრად მოვალ;  
სიცოცხლის გზიდან  
გადმოვალ და მოვალ!  
სიბრძნის უბე რომ  
სისხლიან გუბედ არ გექცეს,  
და იმედები რომ არ გაგიქრეს,  
და ბედ-იღბალი რომ არ გაგინყრეს,  
და მომავალი რომ არ გაგინყდეს.  
...ანმყო-ნარსულის სიმწარეებმა  
ასე მწარედ, ასე მწარედ რომ გაგიძღეს,  
და გზები მწვანე-  
მწვანე ოცნებად დაგინვეს,  
მოვალ, უდაბნო, ...მოვალ!  
მაინც წყლად მოვალ  
და ზღვად თუ არა,  
...მის ნერწყვად მოვალ.

## გათხოვდებაო

გათხოვდებაო ქალი,  
თმას გაიჩეჩავს ქარი,  
არ გაიღიმებს დარი,  
ღამეთეული და მკრთალი.  
ფარდებს გადაწვეს  
მთვარე ამ წლისას,  
ნაყოფს გაჭორავს ანწლისას,  
სუნს დააყენებს ნამწვისას.  
გათხოვდებაო ქალი,  
გაკოტრდებაო ჯამში  
ბედი, მომდგარი კარში,  
ფეხს დაისველებ ნამში  
და დაიხრჩობი ნამში,  
ვერას მოიმკი ზღვაში,  
მარტოხელა თუ დარჩი,  
მარტში იწვიმებს ამბით,  
ნურას მოელი კარგით,  
მთაში თუ ივლი კარვით,  
თავს ვერ გაითბობ  
ნაპოვნი დარდით.  
გათხოვდებაო ქალი...  
დროს თუ უსმინე, მთვრალი,  
გათხოვდებაო ქალი.



## ჰონორარის დაკრძალვაზე

შეგისწორებენ თავსა და ბოლოს,  
ვით მიცვალებულს მანტოს  
და გიკრავენ ოთხფიცარშუა  
ს ა ლ ტ ო ს !  
გაგხდიან სარკეში დანახულ  
ამოუცნობ ფანტომს,  
დაგინუნებენ სტროფიდან ნახტომს,  
გულის ჯიბეში კი ვინ იცის  
რას ფლობ.  
ისედაც ნატანჯ ნერტილს  
...ძარცვავენ,  
ტანიდან მძიმეს აცლიან  
...მძიმედ,  
დანერილ სიტყვებს  
აქცევენ მყინვარებად მყისვე,  
უბილნო მწკრივებს  
გაუყადრებენ თავს  
გარყვნილ შტრიხებს,  
და მიაგდებენ შენს ნანერს  
ოთახში, რომელიც  
ძველ სტამბას ჰგავს,  
დაგავინყებენ ნანერს,

რომელზედაც შენი თითები  
აკეთებდნენ ოდესღაც სვლას,  
ვერ ამოიცინობ შენივე სულით  
აკინძულ სიტყვებს  
და ვერც ფურცლებზე...  
და ვერც ფურცლებზე...  
ობლად დარჩენილ  
შენივე იმედის სხივებს.

## ქართველი

მე ქართველი ვარ,  
და უფრო ქართველი  
ქართველებთან ერთად,  
ჩემთვის ერთადერთ ღმერთთან,  
სალოცავ ტაძრებთან, რწმენასთან  
და ჩემივე ნაკვალევთან ერთად,  
საქართველოს დაუმარცხებელ  
მეფეთა-ძვლებთან,  
მათ უკვდავ  
სახელებთან ერთად,  
სიძლიერით სავსე  
კავკასის მთებთან.  
მე ქართველი ვარ  
ჩემს მიწა-წყალთან,  
სივაჟკაცესთან და  
სიმართლესთან.  
სიკვდილამდე ცოცხალი

ვდგავარ...  
და როგორც ცოდვილი,  
ყველას კი ვგავარ.  
მე ქართველი ვარ  
და უფრო ქართველი,  
საქართველოსთან  
...და...  
ქართველებთან  
ერთად!

## სიკვდილს

იმ სიკვდილს რა ვუთხარ, რომელიც  
ბავშვს გაუქვავებს დედის მკერდს!  
იმ სიკვდილს რა ვუთხარ, რომელიც  
ომში გმირს მოკლავს ერთადერთს!  
იმ სიკვდილს რა ვუთხარ, რომელიც  
სიცოცხლეს მოკლავს მძინარეს!  
იმ სიკვდილს რა ვუთხარ, რომელიც  
დედას მოუკლავს ერთადერთ,  
უნახავ, ნანატრ სიცოცხლეს!  
იმ სიკვდილს რა ვუთხარ, რომელიც  
ურწმუნოს გვერდით მორწმუნეს მოკლავს!  
იმ სიკვდილს რა ვუთხარ, რომელიც  
სიყვარულს ებრძვის, უკვდავს ერთს!  
იმ სიკვდილს რა ვუთხარ, რომელიც  
უდროობისგან დროს შეძრავს უღმობელს!

## შავი ღვინო

ერთი ჭიქა  
შავი ღვინო,  
შავი, როგორც  
მინის კილო.  
ერთი სკამიც  
ბარის თავში,  
საქსაფონით შავი კაცი,  
ერთი მხოლოდ,  
მხოლოდ ერთი-  
თეთრი ვაზა  
შავი ვარდის,  
სულით სავსე.  
ერთი ჭიქა  
შავი ღვინო  
და სალამოს  
საამო...  
ნაზი...  
სიო.

## ფოთლები

გამოჩნდებიან...  
თეთრი ფერდობის  
თეთრი ფერდები,  
თეთრი ცხენები,  
თეთრი ტბის

თეთრი თევზები,  
მილიონები...  
თეთრი ძონძებით  
და მდელოები  
თეთრი კორძებით,  
თეთრი ლომები,  
ფეხზეშეხსნილი  
თეთრი ზონრებით,  
და თეთრ ტალახში  
თეთრი ბოტები  
და ის ლოტები  
თეთრი ცოდვებით,  
და ის ლოდები,  
და ის ლოთები  
თეთრი ლოყებით.  
გამოჩნდებიან...  
თეთრი ცის  
თეთრი დროშები  
და მეფეები  
თეთრი ქოშებით.  
გამოჩნდებიან...  
თეთრი ფოთლები  
და შემოდგომის  
თეთრი ფორები,  
როცა სიცოცხლეს  
მე - თეთრი...  
თეთრად მოვრჩები.

## დედას

ეძ. დედას  
უსაყვარლეს დედას!

შენზე ვწერდი ლექსს,  
მზეთუნახავს ერთს,  
ულამაზეს სიტყვებს-  
მე ვუბამდი გვერდს.  
სიყვარულის მზეს,  
მე ვუცქერდი მთელს.  
სიცოცხლეთი ერთს-  
ულამაზეს ლექსს,  
შენზე, მხოლოდ შენზე,  
ვწერდი დე.

## თოვლის ფიფქები

დილის შვიდია  
და სიმშვიდეა,  
ქალაქს ჯერ ისევ  
და ისევ სძინავს,  
და აფარია  
როგორც საბანი,  
თეთრი თოვლისგან  
თეთრი ნაბადი,  
თოვს, განუწყვეტლივ თოვს  
და თავის ფიფქებს

როგორც ფიქრებს,  
გვახვევს ქალაქის თავზე,  
ჩვენს ლამაზ ცაზე.  
დილის შვიდია  
და ისევ მშვიდია,  
ქუჩები თეთრია,  
ჯერ ისევ ბნელია,  
თოვლი კი ისევ  
და ისევ ხშირია,  
და ისევ ცივია,  
და ისევ მშვიდია.

## ლუგელას ღამე

ვუძ. ულამაზეს,  
უსაყვარლეს სოფელ-  
მუხურს.

ნარდს გავაგორებ, წლებს დავაბოლებ...  
მთებს გავაყოლებ, თვალს გავაღორებ,  
წყაროს წყალს დავლევ წყლად,  
ჭურში ძმარს გავლევ ძმრად,  
გასაწყვეტ ღორებს დავუკლავ გოჭებს,  
ცეცხლზე გავუბამ კოჭებს.  
წაბლს და თაფლს შევჭამ,  
ჭადრის ქვეშ ჭადსაც,  
ბუხარში გამომცხვარ ცასაც,  
მერე დათვს შევახარებ  
გამაძღარ წარბსაც.

ოდას გავუჩინე ჭრაქსა  
და სიცოცხლით ბოდვას.  
სიმინდის გორებს ჭყინტად გამოვლევ  
და ვაქცევ ჭინკებისათვის  
ხრიოკის მოლებს,  
გალმა გადავრეკ  
მათივე დამშეულ ჭორებს.  
მთვარეს გადავრეკ,  
ვარსკვლავს გავაფრენ  
ოცნების ნაპირზე გაბერილს  
ც ა ზ ე .  
დარდზე ფიქრს მოვკლავ,  
ზღვაზე ნადარდელს ავზე,  
ხობისწყალთან „ვაბაზრებ“ ნალველს.  
ლუგელას ღამეს „ოჩო“-ს  
გავუცვლი მკლავზე,  
მხარზე რომ ადგას მარჯვედ,  
როგორც საფრთხობელას  
სამოსი სარზე.  
ოქროს მოვძებნი დამარხულს მთაზე.  
ნარდს გავაგორებ,  
წლებს დავაბოლებ  
და მუზის ღამეს  
და მუზის ღამეს  
...ცად ავაგორებ.



## მაინც ვინა ვარ

- გიჟი ვარ?

- ა რ ა !

...მელანში ჩანობილი თითი ვარ,  
ფურცელზე მოხეტიალე ბიჭი ვარ,  
უსიყვარულოდ დარჩენილი გიდი ვარ?

თუ სიმარტოვეში მოსეირნე  
მითი ვარ!

მზის შუქზე მანანნალა ბინდი ვარ?  
სხვისი ვარ?

ვისთვისაც განვიცდი,  
მისი ვარ!

თუ, უბრალოდ,  
ამოუცნობი ფირი ვარ?!

თუ უსიცოცხლო ხიდი ვარ?!

ვისთვის საკითხავი ფლირტიც ვარ,  
ვისთვის, უბრალოდ,

იმედის სხივი ვარ,

თუ თამაშში მოგებული  
სიყვარულის მძივი ვარ?

ვისთვის მათხოვარის  
ტილი ვარ.

ანდა მდიდარი მეფის  
შვილი ვარ,

ვისთვის ვიცინი  
და ვისთვის...

...ვისთვის კი...

ვტირივარ.

## მონყენილი ყვავილები

რა გაჩხუბებს მეყვავილევ?  
ფულზე მეტი გული არ ღირს?!  
ეგ ცრემლები რომ დაგღვრია,  
ყვავილებზე გადაგღვრია,  
დღეს კვირაა...  
ჯერ დილაა...  
იყიდიან შენს ყვავილებს,  
ყორი-ვარდებს და მაგ ვარდებს,  
გაიმხნევენ მაგ შენს დარდებს.  
რა გაჩხუბებს მეყვავილევ?  
დღის ბოლოს ხომ მაინც  
აჭმევ-საჭმელს მაგ შენს ბავშვებს,  
წყალი უნდა მაგ შენს ვარდებს,  
თუ არადა გადაყვები ვალებს,  
ზურგს უკან რომ  
აჩრდილივით დაგდევს.  
რა გაჩხუბებს მეყვავილევ?  
რა გაჩხუბებს მეყვავილევ,  
დღეს ხომ კვირაა და  
ო რ კ ი რ ი ა  
დღეს ხომ კვირაა და  
გასვენების-ქორწილია.



...დავითისა და ილიას  
მხრებზე აღზრდილ  
ჩვენს ერს,  
ვაჟკაცობა და მხნეობა  
შემორჩა დღემდე!  
დავითისა და ილიას  
გზებზე,  
საქართველოს დაე ევლოს  
ბევრჯერ...

### პიცავ

ექვნიება  
ჩემს საყვარელ ძმას

აღმართს მივყვები  
გაჩენის დღიდან,  
ამოხველებას...  
ვინ გაცდის ნამგზავრს,  
ლხინში ყოველთვის  
ჭირი მომყვება წილად;  
ფიცივით დამსდევს,  
„გათავნულივით“ მწირავს.  
უკან მოხედვას  
ნუ იტყვი-ჯიმა<sup>2</sup>,

---

<sup>2</sup> ჯიმა (მეგ.) – ძმას

თორემ ხვალინდელი დღის  
ვერ შეჭამ ჯიგარს.  
აღმართს მივყვები  
გაჩენის დღიდან  
და გადამწვარი ციდან  
უნყოლობას ვზიდავ,  
ბედს ვაიმედებ,  
განგებას ვრისხავ,  
დედას კი ვფიცავ-  
სიმართლეს  
ვიცავ.

### მარტოხელა ლექსი

ცოდვა არ არის ის მჟავე,  
მარტო რომ უმჟავდება თავი,  
ანდა არაყი, რომ  
    უორთქლდება წარბი,  
ის მარტოხელა კაციც,  
ცაცხვის ძირას რომ არის  
წვიმიან ცაში,  
ანდა სევდის ჩასაქრობი  
ფიქრის, წყალი  
რომ იღვრება გზაში,  
    არ ჩასული ზღვაში.  
ცოდვა არ არის  
ის ჭიქა ცარცის,  
რომ დაბერებულა

წარსულში, ნაყლაპი  
ძ მ ა რ ი თ,  
ან კიდევ ის მარტოხელა  
... ძალლი  
მძალე ცხოვრებით  
უსადილო-სასადილოს კარებთან  
რომ დაკარგულა  
დათოვლილ ცხვარში.  
ცოდვა არ არის  
გულის ჯიბეში  
ის მარტოხელა ლექსი,  
მთელი ღამე  
სულთან ერთად რომ  
...კვნესის.



...შავი ვარდების ყვავის ლანდები  
და ყანებს ყანნად ეპატრონება  
აჩრდილი ანწლის,  
თითქოს საფლაგზე  
დამწვარი ცრემლებით მთვრალი  
წარსული დაძრწის  
და სევდიანი მხურვალე ვალით  
ობოლი ბავშვივით-  
გრიგალიც,  
დაჰქერის...

## უცნობი ქალი

საღამო იყო საამო,  
იყო ქუჩები მარტოდ,  
და იყო ჩუმი ქარი  
და მარტოხელა  
უცნობი ქალი,  
ენტო ლამპიონები მკრთალი  
და ჩანდა  
ნაგვის კვალი.  
საკვამურებიდან კვამლი  
ბობლავდა, როგორც ალი.  
ქუჩაში სიმარტოვეს  
კი გრძნობდა,  
მარტოობაში კრთოდა  
და მარტოხელა ქალი,  
ვიღაცის ლოდინში თრთოდა.

## მოჩანს

ვუძღვნი ულამაზეს სოფელ ტბას

მოჩანს ლაჟვარდი ცის,  
სხივები უვადო მზის,  
მოჩანს, უსაზღვრო მთის  
წინვებში როგორ ქრის;  
მოჩანს ჩანჩქერები,  
სიცოცხლით სავსე-ნერწყვები

თუ როგორ სდით.  
მოჩანს სიცოცხლე,  
თავისუფლებაში  
თუ როგორ ღირს.



...ნეტავ, მომასწრო  
გაზაფხულს,  
...მომასწრო აღდგომას,  
ბზობას...  
სიცოცხლის კიდევ ერთ  
გზობას...

### თუ

თუ სიამაყის  
გზას გაუძღვები,  
კარებს აუჭედ  
სინდისის ღამეს,  
თუ თავზე მალლა  
ამპარტავნობას დაანურინებ  
შენს  
სულს  
ბედელში.....  
თუ სიყვარულის

გზას გადაუხვევ  
ოქრო-ვერცხლისგან  
მოჭედილ კლდეში,  
რწმენას დაკარგავ  
უდაბნოს მთებში!  
ნუთუ ვერ ხვდები,  
ნუთუ ვერ ხვდები,  
რომ აღარ ჩანხარ!  
ბოროტებისგან  
დამხრჩვალ კაცი.

### ა-პორტრეტი

მოვა, მოიტანს წვიმას და ტალახს,  
ვითომდა შხამსა და ღალატს,  
უფერო ნახატს  
და ას გრამს უაზრო ხარხარს.  
მოვა, მოიტანს ნაღვლიან ქაღალდს,  
მასზე დაწერილ ცეცხლიან ამბავს,  
ნათქვამში დაუსრულებელ ანბანის  
ასოთა დავას,  
აზრებში სიკეთის ხანძარს  
ხომ მკითხველიც ნახავს.  
მოვა, მოიტანს სიცოცხლის ზენრებს,  
მასში გახვეულ მარცხიან მენყერს,  
და დაღვრის ნერწყვებს,  
აივსებს ოცნებით ბელელს,  
დაატრიალებს უმწეო აზრში



ფიქრების ღერძებს,  
და ააფრიალებს  
თავისი ბუნების ღერწმებს,  
თითქოს გონება მისი  
სიბოროტეს წამდანამ ლენდეს,  
და მტრის სისხლიან გუბებს  
გულის უბიდან  
თანდათან ლევდეს.  
მოვა, მოიტანს ლექსებს,  
თითქოსდა გულში ჩარჩენილ  
მისი ცხოვრების ფესვებს  
და ნახატს...  
და ნახატს...  
სახელად-  
სიცოცხლის ნერგებს.

## თქვენ-საქართველო

თქვენ არც  
კლდე ხართ,  
არც ქანდაკება,  
არც ის ოცნება  
რომ გაორდება,  
არც ის ლობე ხართ,  
რომ დაღონდება  
და არც ის გული,  
რომ გაღორდება.  
თქვენ არც

კლდე ხართ  
და არც ქანდაკება.  
თქვენ ის სული ხართ,  
რომ აყვავდება.

## 1-თეთრი

ერთი თეთრი  
ერთი წამლის  
მცირე წვეთი.  
ერთი თეთრი  
ერთი პურის  
ხმელი ქერქი.  
ერთი თეთრი  
ერთი გზისკენ  
ერთი მეტრი.  
ერთი თეთრი  
...გაჭირვების  
თეთრი წვეთი.

## დასჯილნი

და იყო-  
ერთი,  
ორი,  
სამი, -  
დათვლა ნუთიერი,

ამ ცხოვრების ჟამთან  
განსაშორებელი.

და იყო-  
ერთი,  
ორი,  
სამი,  
ბოროტ ხალხთა  
დიდი რისხვა.

და იყო-  
ერთი,  
ორი,  
სამი,  
მათ თავებზე  
სისხლიანი ნაკვალევი.

და იყო-  
ერთი,  
ორი,  
სამი გვამი,  
ამ ცხოვრებიდან  
გალმა გარიყული  
და ყორანთა  
ლუკმა-პური.



პასეანსმა ამომიცნო  
სეანსის დროს-  
-ბრაღი...  
და მითხრა, რომ  
ცხოვრებაში არ ვიარო-  
-მთვრაღი...

### წამით გაცნობილი

...კვლავაც დაჭკნება,  
როგორც ყვავილი ატმის,  
დარგული უსიყვარულო ამბით,  
გახმება, როგორც ხე ალვის,  
და დათვრება წარსული,  
ან უკვე წასული ღამით.  
კვლავაც გახმება  
ბედ-იღბალივით  
ოცნება ბავშვის  
და წლები გახდება  
წამებით-წანამები წამი,  
ვით ცხოვრების გზაზე  
დაულაღავად მოხეტიალე  
აჩრდილთა ლანდი,  
ვით უკვდავებით აღსავსე  
ცეცხლზე მოციკვავე გედი,

ვით ფოთოლი თეთრი ვარდისა  
დაღონებული დარდითა,  
კვლავაც გაქრება  
ეს გულის ქარი,  
ვით წამით გაცნობილი  
უცნობი ქალი.



ყველა ლექსს უნდა  
აზრის ნაკითხვა,  
როგორც სამართალს-  
თავის განკითხვა.

## გურია

აი-მაი,  
ჩა და ჩაი,  
თუ გინდა, რომ  
სილამაზე ნახო,  
გურიაში ჩაი,  
აი, ჭაი,  
მჭადიც, აი,  
კარგი არი.  
აი, ცაი,  
აი, მთაი,

აი, ზღვაი,  
რაი გაგვაოცებს?!  
ჩვენ სხვაი.  
თუ გინდა, რომ  
სილამაზე ნახო,  
ნაი, ძამა,  
გურიაში ჩაი.

## ნერთ ვინყებ

მე სევდით ვინყებ -  
ნალველს  
გულიდან ფურცელზე ვინერ.  
დარდიან თვალებს  
ოცნების ზღვისაკენ ვიხელ,  
უმწეო ხელებს  
ცისაკენ ვიშვერ,  
ფიქრებს კი უაზროდ-  
გონებაში ვიქცევ,  
როგორც ჭაობის ვირთხებს,  
ფიქრებს...  
მე სევდით ვინყებ,  
დილას თუ ღამეს-  
მე ნერთ ვინყებ.

## აზრთა განძი

სიცოცხლის აზრი  
სიკეთის განძია,  
ბოროტებასთან  
ბრძოლაში მკაცრია,  
უსიყვარულოდ  
ყველა მკვდარია  
და სიმამაცით  
ყველა მხდალია.  
მორწმუნე კაცი  
ყველა მადლია,  
სიცოცხლისათვის  
დღენი და ღამენი  
მკრთალი ღანდია,  
სიკვდილთან ჭიდილი  
ყოველთვის მარცხია,  
ცაში კი ღმერთია!  
ყველასთვის  
ერთია.



ჭირიც - ჭირს  
გასაჭირს  
და  
ბედნიერებით აღსავსე  
ბედნიერ სხივს  
შველისთვის სთხოვს  
ძვირს.

### ტიროდა

ტიროდა მთები,  
ტიროდა მთები...  
მთებში ყაყაჩოს  
წითელი ფერი...  
მოჩანდა სევდის  
ველიდან მკვეთრი  
ფიქრების წვეთი...  
ტიროდა მთები  
და უკვდავების  
აზრებით ხმელი  
ისმოდა ხმები,  
ისმოდა ხმები  
სატანის ღვედის.  
ტიროდა მთები  
ღრუბლების ფერით,



სერით და დღენით,  
მომავლის ცქერით,  
იმედით, ცრემლით  
ტიროდა მთები-  
და მათი, ან უკვე  
ულრანი ტყენი,  
ადამიანის...  
...ადამიანის  
ცოდვილი ხელით!

### ძუნნია

სიკვდილს სწყურია,  
ურჩია,  
უკვდავებასთან მუნჯია,  
ქვეყნად ცრემლები  
უთქვია,  
მინად ფიცრები უწყვია,  
...ნუნკია,  
სიცოცხლის ქურდია  
უბედურების გუნდია  
და უდროობით  
უსულდგმულო და ფუჭია,  
სულ- ჩაუდგმელი თუჯია,  
სიკვდილს ქვეყნისთვის  
უთქვია!  
რომ სიცოცხლესთან  
ძუნნია.



...ჰყავდა პოეტს ქალი,  
ვით აბრეშუმის ქარი  
და მხატვარსაც ქალი...  
და ხატავდა ტილოებს  
სიყვარულით მთვრალი...

### 9-აპრილი

...დილა გათენდა...  
დილა გათენდა...  
თუ გრძელდება  
ლამის კოშმარი ცხადში,  
- ნეტავ, რა ხდება?  
- ნეტავ, ვინ კვდება, -  
ერთი მეორეს შესჩივის  
ც ქ ე რ ი თ !  
გაოგნებული მზერით,  
სახეზე ცრემლით.  
ქალაქში ტანკებია,  
ტანკებზე ხალხია,  
არა-ქართველი!  
ქუჩებში კვამლია,  
სიკვდილის აღია!  
ნეტავ, რა ხდება -  
ისმის ნივილი,

ისმის კივილი,  
უმისამართოდ.  
გულებში იბრძვის ტკივილი  
ისმის ჩივილი,  
კვამლში იხრჩობა  
გენერლის ჩილიმი!  
ქართული დროშა,  
ძირს დაუგდიათ,  
როგორც უსულო,  
ძირს დაუგდიათ!  
როგორც ცოცხალი  
ქვეყნის სახეზე,  
ტირის უცრემლოდ!  
ნეტავ, რა ხდება!  
ეს ჩვენი მტრები  
გვწვევია კარზე  
და გაუგდიათ  
ქართული სალამი  
გ ა ნ ზ ე !  
სულში ბოღმებით,  
მხრებზე თოფებით,  
ხელში ნიჩბებით  
და სისხლის ფასად  
მოპოვებული!!!  
ვარსკვლავთა კორიანტელით.  
თვალეები ყინულის  
სავსე აქვთ ლოდებით,  
ქამარში ნაღმებით,  
ხელში არყებით,

ხმაურიანი, შიშის მომგვრელი,  
ფეხის ნ ა ბ ი ჯ ე ბ ი თ!  
ქალაქში პანიკაა,  
მეფობს ბოროტი რეპლიკა,  
ქუჩებში ტკივილი იწვის,  
გულებში ბავშვთა ტირილი.  
...დილა გათენდა,  
დილა გათენდა...  
თუ გრძელდება  
ლამის კომმარი ცხადში,  
ვილაცა დაჭრილია...  
ვილაცა მკვდარია,  
საქართველოსთვის  
დღეს ავდარია!  
რა სიჩუმეა...  
რა სიჩუმეა?!  
თითქოს და გლოვას  
დაეპყრო ყველა,  
გათელილია ჩვენი ქუჩები,  
განწირულია ახალგაზრდობა!  
და ლ უ პ უ ლ ი ა  
მშვიდი ოცნება,  
ნეტავ, რა ხდება?!  
ნეტავ, რა ხდება?!  
თავისუფლების  
ძირს სურთ  
გ ა თ ე ლ ვ ა.



...მთვარის  
ბაც  
შუქში  
ღრუბლები  
მთვრალივით  
თვლემდა,  
ღამის  
წყვილიაღზე  
ნანყენი  
ქალი  
კი  
ნაგებულ  
კარტს  
მაგიდაზე  
უნყინრად  
დებდა...

## ფული

ფულით იშოვი ბევრს,  
მაგრამ კაცობას ვერ.  
იშოვი მტრებს  
და მკბენავ მტრედს,  
ულევ გზებს,  
სანახაობას ბევრს,

მ ა გ რ ა მ  
 სიტკბოსგან შენ-  
 ვერსად შეიგრძნობ  
 სუფთა ხელს.  
 ფულით იშოვი ბევრს,  
 უხილავზე უხილავს, ძნელს,  
 მაგრამ სიცოცხლით სავსეს-ვერ!  
 ფულით იშოვი ბევრს:  
 ბინძურ საქმეზე  
 განვრთნილ ხელს,  
 უსინდისობით -ნამუსის  
 მ კ ვ ლ ე ლ ს !  
 შაქარს- სისხლისგან სველს.  
 ფულით იშოვი ბევრს,  
 სახელის წამშლელ ფერს,  
 ცოდვებისაგან-ცოდვილ  
 გ ზ ე ბ ს !



მუხური  
 ჩემთვის ყველაფერია!  
 ოცნებათა მწყემსია  
 და  
 ერთია იგი  
 მთელს  
 ქვეყანაზე

## ათასად

ათასი ვარდი,  
სიყვარულის  
ათასი მგზავრი,  
ათასი დარდი,  
ათასი დილა,  
ათასი ბორცვი,  
ათასი როლი,  
ათასი გოლი,  
ათასი სევდის  
ათასი ცრემლი.  
ათასი გზა  
და ათასი გესლი.  
ათასი გერბი,  
ათასი გეზი,  
ათასი გერი,  
ათასი მგელი,  
ათი-ათასად  
ათასი კეთილებს-  
კეთილი ხვედრი,  
ათასად-ათასი  
ბოროტებს-წამების  
უსასრულო გზები.

## ჰგავს

ადამიანის სიცოცხლე ჰგავს:  
ვისთვის მოღრუბლულ  
და ვისთვის მზიან ცას,  
ვისთვის გზას და  
დაუსრულებელ მარცხს,  
ვილაციისათვის ნამს,  
წარსულის წარუშლელ კვალს.  
ადამიანის სიცოცხლე ჰგავს:  
დაუძინებელი ტალღების  
ზღვაში სვლას,  
ცაზე ვარსკვლავებს ბაცს  
და კორიდაზე გადარჩენისთვის  
მებრძოლ ხარს.  
ადამიანის სიცოცხლე ჰგავს:  
სინანულით სავსე ბავშს  
და ოცნებებით ლალს.  
ადამიანის სიცოცხლე ჰგავს:  
სიყვარულის სილამაზეში  
დამთვრალ ვარდს,  
და დამარცხებულ ავს,  
ვისთვის ტალახიან ტაშს.  
ადამიანის სიცოცხლე ჰგავს:  
ომში გატეხილ ხმალს,  
რწმენით აღსავსე კაცს,  
და დროის მცვეთავ გზას.



ადამიანის სიცოცხლე ჰგავს:  
ბოლოში დაღუპულ კრავს  
და ცაში გაფრენილ  
მ კ რ თ ა ლ ს.

### და ცად ავიტაცებ

დაე, განმიკითხონ,  
ისე - წამიკითხონ!  
როგორც გამიცინონ,  
ისე დამიტირონ!  
პირში დამაფასონ,  
ზურგში გამაქარწყლონ,  
ცამდე ამიტაცონ,  
ხრამში გადამაგდონ,  
ლექსი “გამიშიშვლონ”  
სახელი გამიკიცხონ,  
მუზები გამიძარცვონ,  
ფუი, დამიძახონ,  
მანც დავიძახებ  
და ცად ავიტაცებ,  
გულში ჩახუტულებს...  
მანც დავიყვირებ  
ლექსებს სიყვარულით!  
მერე განმიკითხონ,  
მერე განმიკითხონ-  
როგორც წამიკითხონ!



ნუ დამიმძიმებთ მძიმის ჯაჭვებით  
...სიტყვათა მძივებს,  
ნუ გამინყვიტავთ ნერტილით  
ცაზე - მერცხალთა ცის-ფერებს,  
ნუ ჩამომართმევთ  
ისედაც შავ-თეთრ  
ოცნების მწვერვალზე მფრინავ  
რ ნ მ ე ნ ა ს  
და  
სიცოცხლის ფრთებს.

## սխմանուհան

Երես! Դրանի շամուկը Թոմեյը Թեթյան  
Երես զուսեսեյը շամուկից Կոլոմ եւրբիտ Թրմուրեցյան  
Զս սմու սեչերթի եւրեւ, Կոմ Զմեւ սլչուս Զս Զմեւթմեչ Էջւլ.

Մեւտոմեւ-Լլրեմեյ Զլ, Զանժմեւ եւրեւ Կոմ Զրեմեւ  
ժանլոց Զանհեւ Կոլոմեւ Զլլս Էջւլ.  
Լորժորնուսչու շամուկու Կոլոմեւ Կոլոմ Կոլոմ Կոլոմ  
Զս սմու ժոլ Կ Զոլ Կոլոմ Կոլ, Զոլ ժոլ Կոլ Կոլ  
Զս Զոլ Կոլ Կոլ Կոլ.

Զիրու-ժանլոց, սչու Կոլերթ Կոլերթ Կոլերթ  
Զս Կոլմեւ Կոլմեւ Կոլ, Կոլմեւ Կոլմեւ Կոլ, Կոլ Կոլմեւ Կոլմեւ  
Զոլմեւ Կոլ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլ.

Զոլմեւ Կոլ-Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ  
Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ.

Զոլմեւ Կոլ-Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ.  
Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ, սչու Կոլմեւ Կոլմեւ, Կոլմեւ  
Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ, Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ  
Կոլմեւ Կոլմեւ.

Զոլմեւ Կոլ-Կոլմեւ Կոլմեւ: Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ

Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ.

Երես! Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ!

Կոլմեւ, Կոլմեւ Կոլմեւ, Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ  
Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ Կոլմեւ!!!

Զ. Կոլմեւ

## სარჩევი

ერთადერთო.....	4
დუმილი.....	5
თავად ერთია.....	5
მიტოვებული კერა.....	6
წარსულს,.....	7
საბედნიეროდ-წასულს .....	7
ფიცი.....	8
თოვდა .....	9
აფხაზეთი.....	10
***.....	11
ვიპოვე .....	11
***.....	12
შავია შავი მუშამბა .....	13
***.....	15
სარეველას ბედი .....	15
***.....	16
მეძავი.....	16
ფინჯანი ყავა.....	17
***.....	18
ყვავის-ყვავი.....	18
***.....	19
ჩუმად-1921წ.....	20
***.....	20

გადარჩენისთვის .....	21
მეფის გარდაცვალება .....	21
***.....	23
უსურათო პასპორტი.....	23
თებერვლისთვე.....	25
***.....	26
***.....	26
ცოდვის კედლები .....	27
***.....	28
ცხოვრების გზაზე .....	28
იდუმალემა .....	29
სახელის გულისთვის.....	29
***.....	30
ქარად გაჰყვება.....	31
***.....	32
თეთრი მწვერვალი .....	33
ქარი .....	34
***.....	35
დედამინა .....	35
***.....	36
შავია შავი ზღვა .....	37
ნარკომანია.....	37
მოვალ, იმედად მოვალ.....	38
გათხოვდებაო .....	40
ჰონორარის დაკრძალვაზე.....	41
ქართველი.....	42
სიკვდილს.....	43
შავი ღვინო.....	44

ფოთლები.....	44
დედას .....	46
თოვლის ფიფქები .....	46
ლუგელას დამე.....	47
მაინც ვინა ვარ .....	49
მონყენილი ყვაავილები .....	50
***.....	51
ვიცავ .....	51
მარტოხელა ლექსი .....	52
***.....	53
უცნობი ქალი.....	54
მოჩანს .....	54
***.....	55
თუ.....	55
ა-პორტრეტი .....	56
თქვენ-საქართველო.....	57
1-თეთრი .....	58
დასჯილნი.....	58
***.....	60
ნამით გაცნობილი .....	60
***.....	61
გურია .....	61
წერით ვინყებ .....	62
აზრთა განძი.....	63
***.....	64
ტიროდა.....	64
ძუნწია .....	65
***.....	66

9-აპრილი .....	66
***.....	69
ფული.....	69
***.....	70
ათასად .....	71
ჰგავს .....	72
და ცად ავიტაცებ.....	73
***.....	74



გ. ჯვებენავას ელ. ფოსტა  
jvebesmuza@rambler.ru